საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„ლელო“

„ლელო“, სპორტული გაზეთი. საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის და პროფსაბჭოს ორგანო. პირველი ნომერი 1934 წ. 13 აპრილს გამოვიდა თბილისში „საქართველოს ფიზკულტურელის“ სახელწოდებით. 1936-იდან გაზეთს ეწოდა „ფიზკულტურელი“, რ-ის ბოლო ნომერი 1939 წ. 28 თებერვალს დაიბეჭდა. „ლ“-მდე სულ 362 ნომერი გამოვიდა. 1949 წ. 10 ივლისს დაისტამბა „ლ-ს“ პირველი ნომერი. თავდაპირველად გამოდიოდა კვირაში 3-ჯერ, XX ს. 60-იანი წლებიდან გამოიცემოდა ყოველდღიურად (კვირა დღის გარდა). სხვადასხვა დროს გაზეთის რედაქტორები იყვნენ: მ. კაკაბაძე, ი. უგულავა, ა. გოგელია, ა. ბასილაია და სხვები. 1985–2018 „ლ-ს“ რედაქტორი იყო თ. გაჩეჩილაძე (2015-იდან საპატიო რედაქტორი). 2008-იდან გაზეთი „ლ“. „პალიტრა მედიის“ შემადგენლობაში შედის. გამოდის კვირაში ორჯერ – ორშაბათს და ხუთშაბათს. 2018-იდან მთავარი რედაქტორია პ. გელაშვილი.